

დამტკიცებულია - 2020 წლის 11 თებერვალი 11/60
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო



შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტისა და სასწავლო პროცესის ასისტენტის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსით მიღების წესი

თავი I. ზოგადი დებულება

მუხლი 1. გამოყენების სფერო

1. ეს წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
2. წესი ადგენს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში – სასწავლო უნივერსიტეტი) ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტისა და სასწავლო პროცესის ასისტენტის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსით მიღების წესს.

მუხლი 2. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტისა და სასწავლო პროცესის ასისტენტის სამსახურში მიღების წესი

1. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტისა და სასწავლო პროცესის ასისტენტის სამსახურში მიღება ხდება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გამოცხადებული ღია კონკურსის საფუძველზე.
2. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტისა და სასწავლო პროცესის ასისტენტისთან შრომითი ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს შრომითი კოდექსის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებებით.

მუხლი 3. კონკურსის მიზანი

1. კონკურსის მიზანია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად სასწავლო უნივერსიტეტის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტისა და სასწავლო პროცესის ასისტენტის ვაკანტურ ადგილზე მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევა და უნდა შეესაბამებოდეს საჯაროობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
2. კონკურსის დროს საკონკურსო კომისია ადგენს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას ვაკანტური ადგილის დასაკავებლად წაყენებულ მოთხოვნებთან.
3. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად:

- სხვა სპეციალისტების შეფასებების ჩანაწერების ინტერპრეტაცია/ანალიზი
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელების უზრუნველყოფა
- აქტივობის და გარემოს ანალიზი
- სასწავლო/დამხმარე სტრატეგიების შერჩევა
- სასწავლო და პრაქტიკის მიმღები ორგანიზაციის გარემოს მორგება/მომზადება
- სასწავლო მასალის ადაპტირება
- გამოწვევი/რთული ქცევის შეფასება/ანალიზი, მართვის გეგმის შემუშავება და ინტერვენციის განხორციელება
- კომუნიკაციური საჭიროების შეფასება და, ინდივიდუალურად მისადაგებული საკომუნიკაციო მიდგომის/ფორმის შერჩევა
- გუნდური მუშაობა, თანამშრომლობა
- ინფორმაციის ზეპირი და წერით ფორმით გამართულად წარმოდგენა

გ) დამატებითი ცოდნა:

- „საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ“; „საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ“; „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“; „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“

დ) სასურველი უცხო ენა: ინგლისური ენა

2. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ფუნქციები და მოვალეობები:

ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიულ განათლებაში ჩართვასა და პროფესიული განათლების პროცესში მხარდაჭერას კერძოდ:

- თანამშრომლობს საჯარო სკოლებთან, სსსმ/შშმ პირებისთვის განკუთვნილ სხვადასხვა ორგანიზაციასთან და კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მენეჯერთან ერთად, უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეკრუტირებას პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.
- უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათი ოჯახების კონსულტირებას პროფესიული განათლების სისტემაში ჩართვის თაობაზე
- კარიერის დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის მენეჯერთან და პროფესიულ მასწავლებელთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული ინტერესების და წინა პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასებას, პროფესიულ ორიენტაციას და პროფესიულ განათლებაში ტრანზიციას;
- პროფესიულ მასწავლებლებთან და სხვა სპეციალისტებთან თანამშრომლობით აფასებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებულ საჭიროებებს და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, არგებს სასწავლო პროცესსა და გარემოს/საწარმოო პრაქტიკას (მაგ.: სასწავლო მასალის ადაპტირება, გარემოს მორგება, დამატებით მხარდაჭერის გაწევა, გამოცდების მორგება და სხვა); საჭიროების შემთხვევაში, სხვა სპეციალისტებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს სპეციალური

- საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტისთვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შედგენას
- აწარმოებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას და ბაზებს (მაგალითად პორტფოლიო, დასაქმების ბაზა და სხვა);
 - სწავლის პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებს უზრუნველყოფს უწყვეტი მხარდაჭერით და უწევს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ კონსულტაციას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლებს და სხვა სპეციალისტებს, ასევე, სტუდენტს და მისი ოჯახის წევრებს.
 - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ინიცირებს და ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, პრაქტიკის მიმღებ ორგანიზაციებში, დასაქმების ადგილებში, თემში ინკლუზიური განათლების მხარდამჭერ და პოპულარიზაციის ხელშემწყობ აქტივობებს და ხელს უწყობს ინკლუზიური კულტურის დანერგვას
 - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის მართვისას, მოქმედებს მულტიდისციპლინური გუნდური მიდგომით;
 - მონაწილეობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებებით განპირობებული დამატებითი/დამხმარე სერვისების და მატერიალური და ადამიანური რესურსის განსაზღვრის პროცესში და დაწესებულების ადმინისტრაციას აწვდის ინფორმაციას საჭირო მხარდაჭერის თაობაზე;
 - თანამშრომლობს დაწესებულების სხვა სპეციალისტებთან და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების პროფესიულ განათლებაში მიღების პროცესში;
 - აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდების წევრებთან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პროფესიულ განათლებაში ჩართვისა და პროფესიული განათლების უზრუნველყოფის პროცესში;
 - მონაწილეობს დაწესებულებაში ინკლუზიური განათლების განვითარების მიზნით აქტივობების/სტრატეგიის შემუშავებაში;
 - პროფესიული სასწავლებლის სხვა სპეციალისტებთან, პოტენციურ დამსაქმებელთან და სხვადასხვა დაკავშირებულ უწყებასთან თანამშრომლობით, ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმებას (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ადვოკატირება, დამსაქმებლის კონსულტირება და სხვა);
 - მონაწილეობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ დაგეგმილ პროფესიული განვითარების ტრენინგებში/სამუშაო შეხვედრებში და ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდამჭერ აქტივობებში/ღონისძიებებში.

3. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის წარმოსადგენი დოკუმენტაციაა:

- ავტობიოგრაფია/რეზიუმე
- სამოტივაციო წერილი
- 2 რეკომენდატორი და საკონტაქტო ინფორმაცია
- პირადობის მოწმობის ასლი
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დიპლომის ასლი)
- კვალიფიკაციის სხვა დამადასტურებელი დოკუმენტები.

4. სასწავლო პროცესის ასისტენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნება:

ა) სასურველი საგანმანათლებლო ხარისხი: ბაკალავრი ფსიქოლოგიის, სპეციალური განათლების, რეაბილიტაციის ან რომელიმე სხვა დაკავშირებულ სფეროში.

ბ) სასურველი პროფესია: სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი.

გ) სამუშაო გამოცდილება: სულ მცირე ერთწლიანი გამოცდილება სპეციალური/ინკლუზიური განათლების ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერის სფეროში (საჯარო სკოლაში, სპეციალიზებული პროფილის მქონე სკოლაში, დღის ცენტრში, რეაბილიტაციის ცენტრში) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებთან მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება

დ) შემდეგი დოკუმენტების ცოდნა: „საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ“; „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“.

ე) სასურველი უცხო ენა: ინგლისური ენა

ვ) დამატებითი ინფორმაცია:

ზ) უპირატესობა მიენიჭება პირს, რომელსაც აქვს:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე /შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერის გამოცდილება პროფესიული განათლების მიღებისა და დასაქმების პროცესში;
- პროფესიული განათლების სისტემაში მუშაობის გამოცდილება;
- გავლილი სტაჟირება ინკლუზიური განათლების სფეროში;
- გავლილი ტრენინგ-კურსები ინკლუზიურ განათლების სფეროში;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ფუნქციური უნარების შეფასების და მათთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენასა და განხორციელების პროცესში მონაწილეობის გამოცდილება;

4. სასწავლო პროცესის ასისტენტის წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- ავტობიოგრაფია
- სამოტივაციო წერილი
- სარეკომენდაციო წერილი წინარე დასაქმების ადგილიდან (სასურველია)

- პირადობის მოწმობის ასლი
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დიპლომის ასლი)
- კვალიფიკაციის და/ან კომპეტენციების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

5. სასწავლო პროცესის ასისტენტის შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობა:

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა განათლების მხარდაჭერა, როგორც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა-სწავლების დროს, ასევე, სამეწარმეო პრაქტიკის განხორციელებისას. სასწავლო პროცესის ასისტენტი:

- მონაწილეობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა/სტუდენტთა შეფასების და დოკუმენტაციის წარმოების პროცესში;
- საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებლებთან და სხვა სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობს სსსმ პირის პროფესიული ორიენტაციის უზრუნველყოფის და პროფესიულ განათლებაში ტრანზიციის ხელშეწყობის პროცესში.
- აწარმოებს სტუდენტის ჩართულობაზე დაკვირვებას სასწავლო პროცესის და საწარმოო პრაქტიკის დროს და ახდენს დაკვირვების მონაცემების დოკუმენტირებასა და ანალიზს;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან თანამშრომლობით/შეთანხმებით, საჭიროების შემთხვევაში, ახდენს სასწავლო და სამუშაო მასალის ადაპტირებას სტუდენტის სასწავლო და თვით-მოვლის აქტივობებში დამოუკიდებელი ფუნქციონირების ხარისხის გაზრდის მიზნით;
- აფასებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების და პრაქტიკის მიმღები ორგანიზაციის/პარტნიორი კომპანიის გარემოს და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან თანამშრომლობით შეიმუშავენს გეგმას/რეკომენდაციებს საჭირო ცვლილებების განსახორციელებლად;
- მონაწილეობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების პროფესიულ განათლებაში ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების პროცესში;
- მონაწილეობს სსსმ სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში;
- მუშაობს სსსმ და შშმ სტუდენტთან სწავლასთან და დამოუკიდებელ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული უნარების გაძლიერების მიზნით; საჭიროების შემთხვევაში, უწევს პრაქტიკულ მხარდაჭერას (დახმარებას) სასწავლო/პრაქტიკის პროცესთან და ყოველდღიურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული აქტივობების დროს;
- თანამშრომლობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდების წევრებთან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პროფესიულ განათლებაში ჩართვისა და პროფესიული განათლების უზრუნველყოფის პროცესში;
- თანამშრომლობს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლებთან, სხვა სპეციალისტებთან, სტუდენტების ოჯახის წევრებთან და მოქმედებს გუნდური მიდგომით;
- დაწესებულების სხვა სპეციალისტებთან ერთად გეგმავს და მონაწილეობს ინკლუზიური პროფესიული განათლების პოპულარიზაციის და საგანმანათლებლო დაწესებულებაში/პრაქტიკის განმხორციელებელ ორგანიზაციაში/პარტნიორ კომპანიაში ინკლუზიური კულტურის დანერგვის პროცესში;

სსსმ
სსსმ
ADEM
BOARD
სსსმ
სსსმ

- სხვა სპეციალისტებთან თანამშრომლობით, მონაწილეობს სსსმ/შშმ სტუდენტის დასაქმების მხარდამჭერ ღონისძიებებში;
- მონაწილეობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ დაგეგმილ პროფესიული განვითარების ტრენინგებში/სამუშაო შეხვედრებში და ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდამჭერ აქტივობებში/ღონისძიებებში.

მუხლი 6. დოკუმენტების წარმოდგენა

კონკურსანტმა დოკუმენტები წარმოადგინოს -განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე.

მუხლი 7. საკონკურსო კომისიის მიზანი

1. კონკურსის დროს საკონკურსო კომისია აფასებს კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის შესაბამისობას ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტისა და სასწავლო პროცესის ასისტენტის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად წაყენებულ მოთხოვნებთან.
2. ამ მიზნის მისაღწევად კომისია:
 - ა) უზრუნველყოფს კონკურსის ჩატარებას დადგენილი წესითა და პროცედურების დაცვით;
 - ბ) აფიქსირებს კონკურსანტის მხრიდან წესების დარღვევის ფაქტებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას კანდიდატის კონკურსიდან მოხსნის შესახებ;
 - გ) ადასტურებს კანდიდატის მიერ მიღებულ ქულათა რაოდენობას ;
 - დ) ატარებს გასაუბრებას კანდიდატებთან და წარუდგენს რექტორს შესაბამის რეკომენდაციებს ;
 - ე) ახორციელებს ამ დებულებითა და კანონით დადგენილ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 8. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა

1. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედის თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის წევრი/ები.
- 2.საკონკურსო კომისიას ქმნის და მის შემადგენლობას განსაზღვრავს რექტორი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.

მუხლი 9. საკონკურსო კომისიის რეგლამენტი

- 1.კომისიის წევრებს შორის მოვალეობებს ანაწილებს და მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.
- 2.კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება, კომისიის სხდომები უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
3. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე კომისიის ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბარი გადანაწილების შემთხვევაში გადაწყვეტად ითვლება კომისიის თავმჯდომარის ხმა.
4. კომისიის გადაწყვეტილების მისაღებად კომისია ატარებს ღია კენჭრისყრას.



